საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 04/242
22.03.2024

ბრძანება

242-01-4-202403221854

სს "თბილისის თამბაქოს" (ს/ნ: 206093528) განცხადების დასაშვებად ცნობისა და ანტიდემპინგური შესწავლის დაწყების შესახებ

„კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-17[1] მუხლის მე-4 პუნქტის, მე-16 მუხლის 41 პუნქტის, მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის, „ვაჭრობაში ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის 1-ლი, მე-4, მე-6 პუნქტების, „ვაჭრობაში ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების მიზნით შესწავლის განხორციელების წესისა და პროცედურების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2021 წლის 1 ივნისის N249 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის, მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის N288 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ე" ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დასაშვებად იქნას ცნობილი სს "თბილისის თამბაქოს" (ს/ნ: 206093528) 2024 წლის 27 თებერვლის N01/1131 განცხადება.

2. დაიწყოს შესწავლა აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე პროდუქციის სავარაუდო დემპინგური იმპორტის თაობაზე.

3. შესწავლის ობიექტად განისაზღვროს აზერბაიჯანის რესპუბლიკაში წარმოებული და საქართველოში იმპორტირებული ფილტრიანი სიგარეტები თამბაქოს შემცველობით, ღერის სიგრძე 80 მმ-დან 100 მმ-მდე, ღერის დიამეტრი 5 მმ-დან 8 მმმდე, რომელიც კლასიფიცირდება საგარეო - ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის („სეს ესნ") სუბპოზიციაში: 2402 20 – სიგარეტები, თამბაქოს შემცველობით.

4. დამტკიცდეს თანდართული „საჯარო შეტყობინება ანტიდემპინგური შესწავლის დაწყების შესახებ“ (დანართი 1).

5. „საჯარო შეტყობინება ანტიდემპინგური შესწავლის დაწყების შესახებ“ გამოქვეყნდეს საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე. გამოქვეყნების თარიღი მიჩნეულ იქნეს შესწავლის დაწყების თარიღად.

6. შესწავლის დაწყების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება ეცნობოს აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობას და სხვა ცნობილ დაინტერესებულ პირებს.

7. ამ ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად.

8. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

9. შესწავლის დაწყების შესახებ გადაწყვეტილება შესაძლოა გასაჩივრდეს საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ საბოლოო გადაწყვეტილებასთან ერთად.

საფუძველი: საქართველოს კონკურენციისა და მომხარებლის დაცვის სააგენტოს ანტიდემპინგური ღონისძიების დეპარტამენტის უფროსის 2024 წლის 22 მარტის N03/342 მოხსენებითი ბარათი.

ირაკლი ლექვინაძე



თავმჯდომარე

<u>დანართი 1</u>

შეტყობინება

ანტიდემპინგური შესწავლის დაწყების შესახებ აზერბაიჯანში წარმოშობილი ფილტრიანი თამბაქოს პროდუქტების იმპორტთან დაკავშირებით

შეტყობინება მომზადებულია საქართველოს კონკურენციის ეროვნულ სააგენტოში („სააგენტო“) „ვაჭრობაში ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების შესახებ“ საქართველოს კანონის („კანონი“) მე-20 მუხლის შესაბამისად შემოსული წერილობითი განცხადების საფუძველზე, რომლის თანახმადაც საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ადგილი აქვს აზერბაიჯანის რესპუბლიკაში წარმოებული თამბაქოს შემცველი ფილტრიანი პროდუქტების დემპინგური იმპორტს, და რომელიც ზიანს აყენებს საქართველოს ადგილობრივ ინდუსტრიას.

1. განცხადება

2024 წლის 27 თებერვალს სააგენტოში შემოვიდა N01/1131 განცხადება („განცხადება“) სს „თბილისის თამბაქოს“ (ს/კ 206093528) მიერ („განმცხადებელი“) საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე აზერბაიჯანის რესპუბლიკაში წარმოებული თამბაქოს შემცველი ფილტრიანი პროდუქტების სავარაუდო დემპინგურ იმპორტთან დაკავშირებით.

2. ადგილობრივი ინდუსტრია

კანონის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ადგილობრივი ინდუსტრია განმარტებულია, როგორც „ყველა მწარმოებელი, რომლებიც საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე (გარდა თავისუფალი ინდუსტრიული ზონებისა) აწარმოებენ მსგავს პროდუქტს, ან მსგავსი პროდუქტის მწარმოებელთა ერთობლიობა, რომელთა წარმოების საერთო წილი შეადგენს მთლიანი ადგილობრივი წარმოების ძირითად ნაწილს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მსგავსი პროდუქტის ადგილობრივი მწარმოებლები ამავდროულად არიან შესწავლის ობიექტის იმპორტიორები ან შესწავლის ობიექტის იმპორტიორთან ან ექსპორტიორთან დაკავშირებული პირები, – დანარჩენ მწარმოებელთა ერთობლიობა“. ტერმინი „ძირითადი ნაწილი“ კი განმარტებულია, როგორც „მნიშვნელოვანი, სერიოზული და არსებითი“[1]

ადგილობრივი ინდუსტრიის განსაზღვრის მიზნით, სააგენტოს მიერ გადამოწმდა როგორც განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციისა და მტკიცებულებების სიზუსტე, ასევე

---

[1] ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის 2003 წლის 22 აპრილის პანელის გადაწყვეტილება საქმეზე Argentina - Definitive Anti-Dumping Duties on Poultry from Brazil [WT/DS241/R], პარა. 7.341

შეფასდა განმცხადებლის მიერ თამბაქოს შემცველი ფილტრიანი სიგარეტის წარმოების მოცულობა, მ.შ., მთლიან ადგილობრივ ინდუსტრიასთან მიმართებით. დადგინდა, რომ განმცხადებელი წარმოადგენს ძირითად ადგილობრივ ინდუსტრიას ვინაიდან იგი აწარმოებს საქართველოში წაროებული ფილტრიანი სიგარეტების 99.9%-ზე მეტს.

კანონის მე-20 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ასევე, საქართველოს მთავრობის №249 დადგენილების „ვაჭრობაში ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების მიზნით შესწავლის განხორციელების წესისა და პროცედურების დამტკიცების შესახებ“ („წესი“) მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, წარმოდგენილი განცხადება უნდა აკმაყოფილებდეს დასაშვებობისთვის დადგენილი უფლებამოსილების ტესტს. კერძოდ, განცხადება მხარდაჭერილი უნდა იყოს ადგილობრივი ინდუსტრიის იმ ნაწილის მიერ, რომლის მიერ წარმოებული მსგავსი პროდუქტის მოცულობა აღემატება განცხადების ექსპლიციტურად მხარდამჭერი ან საპირისპირო აზრის მქონე ადგილობრივი ინდუსტრიის მიერ წარმოებული მსგავსი პროდუქტის 50%-ს. ამავდროულად, მითითებულ მხარდამჭერთა მიერ წარმოებული მსგავსი პროდუქტის მოცულობა არ უნდა იყოს მთლიანი ადგილობრივი ინდუსტრიის 25%-ზე ნაკლები. განმცხადებელმა წარმოადგინა მტკიცებულება აღნიშნულზე , რომელიც გადამოწმდა სააგენტოს მიერ და დადგინდა, რომ განმცხადებელი აკმაყოფილებს უფლებამოსილების ტესტს.

3. შესწავლის პერიოდი

იმის გათვალისწინებით, რომ განმცხადებელმა სააგენტოს მიმართა 2024 წლის 27 თებერვალს, სააგენტოს მიერ სავარაუდო დემპინგის დადგენისა და ზიანის შესწავლის პერიოდად განისაზღვრა ერთი სრული კალენდარული წელი, 2023 წლის 01 მარტიდან 2024 წლის 29 თბერვლამდე პერიოდის ჩათვლით („შესწავლის პერიოდი“). ამასთან, ზიანის შესახებ მსჯელობისთვის საჭირო ინფორმაცია/მტკიცებულებების სააგენტო შეაფასებს არანაკლებ უკანასკნელი 3 წლის პერიოდისთვის („გათვალისწინებული პერიოდი“) გათვალისწინებით.

4. შესწავლის ობიექტი

შესწავლის ობიექტად განისაზღვრება აზერბაიჯანის რესპუბლიკაში („განსახილველი სახელმწიფო“) წარმოებული და საქართველოში იმპორტირებული ფილტრიანი სიგარეტები თამბაქოს შემცველობით, ღერის სიგრძე 80 მმ-დან 100 მმ-მდე, ღერის დიამეტრი 5 მმ-დან 8 მმ-მდე („შესწავლის ობიექტი“), რომელიც კლასიფიცირდება საგარეო - ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის („სეს ესნ“) სუბპოზიციაში: **<u>2402 20 – სიგარეტები, თამბაქოს შემცველობით.</u>**

5. იმპორტის უმნიშვნელო ოდენობა

სააგენტომ შეისწავლა იმპორტის უმნიშვნელო ოდენობის ზღვრის დაკმაყოფილების საკითხი და დაადგინა, რომ სავარაუდო დემპინგური იმპორტი აღემატება თამბაქოს შემცველი

ფილტრიანი სიგარეტის იმპორტის სრული მოცულობის 3%-იან ზღვარს (კანონმდებლობით დადგენილი მინიმუმი).

6. სავარაუდო დემპინგი

ანტიდემპინგური კანონმდებლობით განსაზღვრული შესწავლა მოიცავს სამ ძირითად მიმართულებას:

- პროდუქტის დემპინგური იმპორტის არსებობის დადგენას;
- დემპინგური იმპორტის მოცულობის შეფასებას;
- ადგილობრივი ინდუსტრიისთვის მიყენებული ზიანის ან მისთვის ზიანის მიყენების საფრთხის დადგენას და მიყენებულ ზიანსა და დემპინგს შორის მიზეზშედეგობრივი კავშირის არსებობის დადგენას.

6.1. მსგავსი პროდუქტი

განმცხადებლის მითითებით ადგილობრივი ინდუსტრიის მიერ წარმოებული პროდუქტი შესწავლის ობიექტის მსგავს პროდუქტს წარმოადგენს. შესწავლის შედეგად სააგენტომ მსგავს პროდუქტად განსაზღვრა ფილტრიანი სიგარეტები თამბაქოს შემცველობით, ღერის სიგრძე 80 მმ-დან 100 მმ-მდე, ღერის დიამეტრი 5 მმ-დან 8 მმ-მდე რომელსაც კლასიფიცირდება საგარეო - ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის მე-4 სექციის, 24-ე ჯგუფის „თამბაქო და თამბაქოს სამრეწველო შემცვლელები“, 2402 20 სუბპოზიციაში – სიგარეტები, თამბაქოს შემცველობით.

6.2. შესწავლის ობიექტის იმპორტი

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, შესწავლის ობიექტის იმპორტი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ხორციელდება აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან. როგორც სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის დამუშავების და ანალიზის შედეგები ცხადყოფს, განსახილველი სახელმწიფოდან ფილტრიანი სიგარეტების ჯამური იმპორტის დინამიკა, როგორც რაოდენობრივ, ისე ღირებულებით ჭრილში, ზრდადი ტენდენციით ხასიათდებოდა, განსაკუთრებით 2023 წლის ბოლო თვეებში. რაც შეეხება თამბაქოს შემცველი ფილტრიანი სიგარეტის კოლოფის ფასს, იგი არ ხასიათდებოდა მნიშნველოვანი ვარიაციებით.

შესწავლის ობიექტის იმ სახეობების იმპორტი, რომელთა ნორმალური ღირებულების შესახებ სააგენტოს განცხადების დასაშვებობის განხილვის ეტაპზე საკმარისი ინფორმაცია გააჩნია, კერძოდ, CAMEL, WINSTON, LINCOLN და PALL MALL ბრენდების ნიმუშები, შესწავლის პერიოდში შეადგენს მსგავსი პროდუქტის მთლიანი იმპორტის რაოდენობის (კოლოფები) 7,50%-ს, ხოლო თანხობრივი მაჩვენებლებით (ლარი) მსგავსი პროდუქტის

მთლიანი იმპორტის 5,85%-ს. იგივე სახეობები შეადგენს აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან იმპორტის ღირებულების 70,81%, ხოლო რაოდენობრივ ჭრილში 80,23%-ს.

6.3. შესწავლის ობიექტის ნორმალური ღირებულება

განმცხადებელი მიუთითებს, რომ მის მიერ ვერ იქნა მოძიებული შესწავლის ობიექტის ნორმალური ღირებულება, რის გამოც განცხადებაში წარმოდგენილია პირობითი ნორმალური ღირებულება - შესწავლის ობიექტის საცალო-სარეალიზაციო ფასები ფასწარმოქმნის ელემენტების გამოკლებით. სააგენტოს შეფასებით, აღნიშნული საჭიროებს დამატებით მისადაგებას. განცხადების მატერიალური დასაშვებობის ეტაპზე სააგენტოსთვის ხელმისაწვდომი იყო კვლევითი კომპანია "გამმა"-ს კვლევის შედეგები ფილტრიანის სიგარეტების საცალო სარეალიზაციო ფასის შესახებ აზერბაიჯანის რესპუბლიკაში. აღნიშნული მასალის შესწავლის შედეგად დადგინდა CAMEL, WINSTON, PALL MALL ბრენდების ფილტრიანი სიგარეტების ნორმალური ღირებულება, ხოლო LINCOLN-ის შემთხვევაში, რომელიც არ არის აზერბაიჯანის ადგილობრივ ბაზარზე არ არის წარმოდგენილი, გათვალისწინებულ იქნა მწარმოებლის მიერ დამოუკიდებელ მყიდველზე გაკეთებული საექსპორტო შეთავაზების საფუძველზე.

6.4. შესწავლის ობიექტის საექსპორტო ფასი

სააგენტომ ცალკე გამოყო შესწავლის ობიექტის იმ დასახელებათა (CAMEL KS FILTERS, PALL MALL KS BLUE, WINSTON KS, LINCOLN ბრენდის ფილტრიანი სიგარეტები) საექსპორტო ფასთა მონაცემები, რომლებიც განმცხადებელის მითითებით დემპინგური იმპორტის საგანს წარმოადგენს, და რომელთა შესახებაც სააგენტოს გააჩნია შესადარი ნორმალური ღირებულების შესახებ სარწმუნო მონაცემები. შესწავლის პერიოდში ერთეულის საექსპორტო ფასები მერყეობს 0.43-1,01 ლარის შუალედში. ამასთან, როგორც სააგენტოს მიერ დადგინდა, აღნიშნული ფილტრიანი სიგარეტები შესწავლის პერიოდში საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ჯამურად იმპორტირებულ იქნა 43 814 ყუთის ოდენობით, ხოლო საექსპორტო ფასის საშუალო შეწონილი მაჩვენებელი უტოლდებოდა 0.77 ლარს ერთ კოლოფ სიგარეტზე.

6.5. სავარაუდო დემპინგის ზომა

როგორც ნორმალური ღირებულების გაანგარიშებისას იქნა გამოვლენილი, ერთი და იმავე ბრენდის სხვადასხვა დასახელებების ნორმალურ ღირებულებებს შორის პრაქტიკულად არ არის განსხვავება. იგივე შეიძლება ითქვას საექსპორტო ფასზეც.

შესწავლის ობიექტის იმ სახეობების იმპორტი, რომელთა ნორმალური ღირებულების შესახებ სააგენტოს განცხადების დასაშვებობის განხილვის ეტაპზე საკმარისი ინფორმაცია გააჩნია, კერძოდ, შესწავლის პერიოდში აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან იმპორტირებული CAMEL,

PALL MALL, WINSTON და LINCOLN ბრენიდს სიგარეტებისათვის, აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან შესწავლის პერიოდში ჯამურად იმპორტირებულ იქნა 43 814 ყუთი ფილტრიანი სიგარეტი, საშუალო შეწონილი საინვოისო ღირებულებით 0.77 ლარი კოლოფზე, ხოლო იმავე საქონლისათვის ნორმალური ღირებულება იმპორტირებული რაოდენობების შესაბამისად შეწონილი საშუალო სიდიდე ვაჭრობის იმავე, შესადარ დონეზე შეადგენდა 2,19 ლარს, შესაბამისად, შესწავლის პერიოდში აღნიშნულ პროდუქტებზე დემპინგური ზღარი შეადგენდა 181,4%-ს.

7. სავარაუდო ზიანი და მიზეზშედეგობრივი კავშირი

განმცხადებელმა განცხადებაშივე მიუთითებს საქართველოში მსგავსი პროდუქტის ბაზრის მთლიანი მოცულობასა და სავარაუდო დემპინგური იმპორტის მოცულობაზე, განმცხადებლის მიერ საქართველოში გაყიდული მსგავსი პროდუქტის წარმოების ღირებულებასა და ზიანის სხვა ფაქტორებზე. წარმოდგენილი მტკიცებულებები და სააგენტოს მიერ შესწავლილი მონაცემები უჩვენებს, რომ მნიშვნელოვნად არის შემცირებული ადგილობრივი ინდუსტრიის მომგებიანობის მაჩვენებლები. სააგენტო prima facie მიიჩნევს, რომ ადგილობრივი ინდუსტრიის ზიანი გამოიხატება როგორც რაოდენობრივ, ასევე საფასო მაჩვენებლებში.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დემპინგის გარეშე შესწავლის ობიექტი გადაინაცვლებდა ფილტრიანი სიგარეტის ბაზრის სხვა, უფრო მაღალ საფასო სეგმენტში, რასაც პირდაპირი გავლენა ექნებოდა ადგილობრივი ინდუსტრიის გაყიდვებზე, რომელიც, თავის მხრივ, ორიენტირებულია ფილტრიანი სიგარეტის ადგილობრივი ბაზრის ყველაზე დაბალ ფასიან სეგმენტზე.

სავარაუდო დემპინგური იმპორტის ბოლო ორი წლის რადიკალური ზრდის პარალელურად სააგენტოს ამ ეტაპზე არ გააჩნია დამატებითი მტკიცებულება, რომელიც ადგილობრივი ინდუსტრიის ზიანის გამომწვევ სხვა ფაქტორებზე მიუთითებს. შესაბამისად, განცხადების მატერიალური დასაშვებობის ეტაპზე სავარაუდო დემპინგსა და ადგილობრივი ინდუსტრიის ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირი დადასტურებულად უნდა იქნას მიჩნეული.

8. პროცედურა

წესის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, „შესწავლის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ასეთი გადაწყვეტილების მისაღებად მტკიცებულებათა საკმარისობის განსაზღვრისთვის, შესწავლის ორგანო შეისწავლის წარდგენილი მტკიცებულებების სიზუსტესა და შესაბამისობას.“

რამდენადაც სააგენტოს მიერ დადგენილ იქნა განმცხადებლის უფლებამოსილება და შეფასდა განცხადებაში წარმოდგენილი ინფორმაციის სიზუსტე და შესაბამისობა, სააგენტო იღებს

გადაწყვეტილებას შესწავლის დაწყების შესახებ, კანონის მე-20 მუხლის მე-5 პუნქტის და წესის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად.

სააგენტო შესწავლის პროცესში დაადგენს, რამდენად ხორციელდება აზერბაიჯანში წარმოშობილი შესწავლის ობიექტის დემპინგური იმპორტი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე და რამდენად მიადგა აღნიშნულით ადგილობრივ ინდუსტრიას ზიანი. თუკი დასკვნა იქნება დადებითი, სააგენტო, კანონის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტისა და 23-ე მუხლის, ასევე, წესის მე-18 მუხლის შესაბამისად, შეაფასებს ანტიდემპინგური ტარიფის შემოღებასთან დაკავშირებით საზოგადოებრივ ინტერესებს.

8.1. დაინტერესებული პირები

კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, დაინტერესებულ პირებს წარმოადგენენ შესწავლის ობიექტის ექსპორტიორი, იმპორტიორი, უცხოელი მწარმოებელი; სავაჭრო გაერთიანება ან ბიზნესგაერთიანება, რომლის წევრთა უმრავლესობა არის შესწავლის ობიექტის მწარმოებელი, ექსპორტიორი ან იმპორტიორი; შესწავლის ობიექტის ექსპორტიორი ქვეყნის მთავრობა; მსგავსი პროდუქტის ადგილობრივი მწარმოებელი; მომხმარებელთა გაერთიანება; მწარმოებელი, რომელიც შესწავლის ობიექტს წარმოების პროცესში იყენებს.

კანონის მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, დაინტერესებულ პირს უფლება აქვს, შესწავლის დაწყებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში წერილობით მიმართოს შესწავლის ორგანოს შესწავლაში მონაწილეობის მიღებასთან დაკავშირებით.

მოთხოვნის შემთხვევაში, განცხადების ტექსტი, კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის გათვალისწინებით, გადაეცემათ დაინტერესებულ პირებს.

8.2. ინფორმაციისა და მოსაზრებების წარდგენა განცხადებაზე და შესწავლის დაწყება

დაინტერესებულ პირებს, რომელთაც სურთ შესწავლის პროცესში მონაწილეობა, აღნიშნულზე უნდა მიმართონ სააგენტოს ამ შეტყობინების გამოქვეყნებიდან 14 კალენდარული დღის ვადაში, წერილობითი ფორმით. მისამართზე:

აღმაშენებლის გამზირი - 154.

ბიზნეს ცენტრი “მწვანე ოფისი”, მე-8 სართული

0102 ქ. თბილისი

განცხადებაზე ან შესწავლასთან დაკავშირებით სხვა ნებისმიერ საკითხზე მოსაზრებების წარმოდგენა დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ წერილობით, მოცემულ მისამართზე აღნიშნული შეუძლიათ ამ გადაწყვეტილების გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

წესის მე-10 მუხლის თანახმად, „დაინტერესებულ პირთა ინტერესების დაცვის ან შესწავლის ორგანოს მიერ შესწავლისათვის რელევანტური ინფორმაციის მიღებისა და დაზუსტების, დაპირისპირებული არგუმენტებისა და მათი ინტერესების გამომხატველ პოზიციათა ზეპირი

დასაბუთებისა და შეჯერების მიზნით, შესაძლებელია, გაიმართოს განხილვის სხდომა.“ დაინტერესებულმა პირებმა მოცემული შესწავლის დაწყების შესახებ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით განხილვის სხდომის ჩანიშვნის მოთხოვნა წერილობით უნდა წარმოადგინონ სააგენტოში, ზემოაღნიშნულ მისამართზე, ამ გადაწყვეტილების გამოქვეყნებიდან 7 კალენდარული დღის ვადაში

8.3. განხილვის სხდომის დანიშვნის შესაძლებლობა

შესწავლის პროცესის მიმდინარეობისას, შესწავლის ნებისმიერ ეტაპზე, შესწავლის ასპექტებთან დაკავშირებით (გარდა შესწავლის დაწყებისა, იხ. 8.2.), დაინტერესებულ პირებს უფლება აქვთ წერილობით მიმართონ სააგენტოს განხილვის სხდომის ჩანიშვნასთან დაკავშირებით, წესის მე-10 მუხლის შესაბამისად. დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ განხილვის სხდომის მიზეზები და განსახილველი საკითხების შინაარსი.

8.4. პროცედურა საზოგადოებრივი ინტერესის შეფასებისთვის

წესის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, „ საზოგადოებრივი ინტერესის შეფასებისათვის შესწავლის დაწყების შესახებ შეტყობინებაში განსაზღვრულ ვადაში დაინტერესებული პირები წარადგენენ შესაბამის მოსაზრებებსა და ინფორმაციას შესწავლის ორგანოში.“ შესაბამისად, დაინტერესებულ პირებს უფლება აქვთ სააგენტოში წერილობით წარმოადგინონ მოსაზრებები საზოგადოებრივი ინტერესის შეფასებისთვის ამ გადაწყვეტილების გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

შესწავლაში მონაწილეობისთვის მომხმარებელთა გაერთიანებებმა უნდა წარმოადგინონ, რომ არსებობს ობიექტური კავშირი მათ საქმიანობასა და შესწავლის ობიექტს შორის.

საზოგადოებრივ ინტერესზე წარმოდგენილი ინფორმაცია მხედველობაში მიიღება, თუკი ის წარმოდგენის დროს გამყარებულია ფაქტობრივი მტკიცებულებებით.

8.5. დაინტერესებულ პირთა წარდგინებებზე მოსაზრებების წარმოდგენა

კანონმდებლობა ითვალისწინებს ყველა დაინტერესებული პირისთვის ინფორმაციისა და კომენტარების წარმოდგენის შესაძლებლობის მიცემას, რაც, ასევე, გულისხმობს სხვა მხარის/დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციაზე მოსაზრების წარმოდგენის უფლებას. ასეთ შემთხვევაში, დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ განიხილონ მხოლოდ სხვა დაინტერესებული პირების წინადადებებში წამოჭრილი საკითხები და არ შეიძლება ახალი საკითხების წამოჭრა.

წინასწარი ანტიდემპინგური ღონისძიების შესახებ დასკვნის მიღებამდე დაინტერესებული პირების მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე კომენტარები შესაძლოა სააგენტოში წერილობითი ფორმით წარდგენილ იქნეს ამ გადაწყვეტილების გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს 75 კალენდარული დღისა, წინასწარი ანტიდემპინგური ღონისძიების შესახებ დასკვნის მიღების შემდეგ კი - ამ დასკვნის გამოქვეყნებიდან 7 კალენდარულ დღეში, თუკი დასკვნაში სხვა ვადა

არ იქნება განსაზღვრული. საბოლოო ანტიდემპინგურ ღონისძიებასთან დაკავშირებით დასკვნის გასაჯაროებიდან კი წარმოდგენილ კომენტარებზე მოსაზრებები მიიღება 3 კალენდარულ დღეში, თუკი დასკვნაში სხვა ვადა არ იქნება განსაზღვრული. მოცემული ვადები არ ართმევს სააგენტოს უფლებას მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებული პირებისგან სათანადოდ დასაბუთებულ შემთხვევებში.

8.6. კითხვარები

ამ გადაწყვეტილების გამოქვეყნების შემდეგ, სრულყოფილი შესწავლისათვის, სააგენტო კითხვარით მიმართავს ყველა ცნობილ დაინტერესებულ პირს. წესის მე-8 მუხლის თანახმად, დაინტერესებული პირები ვალდებულნი არიან, კითხვარის მიღებიდან 30 სამუშაო დღის განმავლობაში აცნობონ პასუხები შესწავლის ორგანოს. დასაბუთებული წერილობითი თხოვნის შემთხვევაში შესაძლებელია მითითებული ვადის გაგრძელება არა უმეტეს 10 სამუშაო დღით. სააგენტოს შეუძლია მოითხოვოს შესწავლის მონაწილე პირისგან დამატებითი ინფორმაცია, ასევე, არ გაითვალისწინოს მიწოდებული ინფორმაცია, რა დროსაც სააგენტო წარადგენს დასაბუთებულ უარს და მხარეს/დაინტერესებულ პირს მისცემს გონივრულ ვადას დამატებითი განმარტებების წარსადგენად.

კითხვარზე პასუხები (მ.შ. Microsoft Excel ფორმატით) წარმოდგენილი უნდა იყოს ორი - კონფიდენციალური და არაკონფიდენციალური - ვერსიის სახით. თანამშრომლობა არსებითია შესწავლის წარმოების პროცესში.

9. შესწავლის განრიგი

კანონის მე-20 მუხლის თანახმად, სააგენტოს მიერ ანტიდემპინგური საქმის შესწავლის პერიოდი 12 თვეს არ უნდა აღემატებოდეს. ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 6 თვით. ეს ვადა აითვლება მოცემული გადაწყვეტილების საჯარო გამოქვეყნების დღიდან.

წინასწარი ანტიდემპინგური ზომა შეიძლება შემოღებულ იქნეს შესწავლის დაწყების დღიდან არანაკლებ 60 კალენდარული დღის გასვლის შემდეგ.

წესის მე-7 მუხლის თანახმად, შესწავლის შეჩერების ან შეწყვეტის, ასევე, ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების შესახებ მიზანშეწონილობის შესახებ დასკვნა გამოქვეყნდება სააგენტოს ვებგვერდზე და საქართველოს მთავრობისთვის გაგზავნამდე, წერილობითი ფორმით ეცნობებათ დაინტერესებულ პირებს, რომლებსაც შეუძლიათ სააგენტოში 15 კალენდარული დღის ვადაში წერილობითი ფორმით წარადგინონ კომენტარები.

საბოლოო გადაწყვეტილებას ვაჭრობაში ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების საკითხზე იღებს საქართველოს მთავრობა. საქართველოს მთავრობა, საჭიროების შემთხვევაში, მოიწვევს დაინტერესებულ პირებს დამატებით მოსაზრებების წარსადგენად.

10. უთანამშრომლობის შედეგები

წესის მე-8 მუხლის მე-9 პუნქტის მიხედვით, „იმ შემთხვევებში, თუკი მხარე/დაინტერესებული პირი და სხვა ფიზიკური ან იურიდიული პირი უარს აცხადებს საჭირო ინფორმაციის გონივრულ ვადაში მოწოდებასა ან მასზე წვდომაზე, ასევე, თუ ის მნიშვნელოვნად აფერხებს შესწავლას, შესაბამის დასკვნას ორგანო იღებს მის ხელთ არსებულ ფაქტებზე დაყრდნობით.“ შესაბამისად, უთანამშრომლობის, მნიშვნელოვნად შემაფერხებელი ქმედების განხორციელების, მ.შ. შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის წარმოდგენის გამო, მიღებული შედეგები შესაძლოა ნაკლებ სასურველი იყოს ასეთი პირისთვის.

11. კონფიდენციალური და პერსონალური მონაცემების დამუშავება

მხარეებმა/დაინტერესებულმა პირებმა სააგენტოსთვის წარდგენილი ინფორმაციის კონფიდენციალურად ცნობის სურვილის შემთხვევაში, უნდა მიმართონ სააგენტოს და კანონის 22-ე მუხლის შესაბამისად, დაასაბუთონ, რომ ასეთი ინფორმაციის გამჟღავნება კონკურენციის პირობებში უპირატესობას მიანიჭებს მესამე პირს ან ამას ექნება უარყოფითი შედეგები ინფორმაციის წარმდგენი პირისთვის ან იმ პირისთვის, რომლისგანაც დაინტერესებულმა პირმა ასეთი ინფორმაცია მიიღო.

სააგენტო უფლებამოსილია მოითხოვოს ინფორმაციის არაკონფიდენციალური ვერსიის წარმოდგენა.

პერსონალურ მონაცემთა დაცვა ხდება ავტომატურ რეჟიმში, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

საბოლოოდ, განცხადების დასაშვებობის განხილვისას გამოვლენილ იქნა, რომ სააგენტოს ხელთ არსებული მტკიცებულებები საკმარისია იმ ვარაუდის დასასაბუთებლად, რომ შესწავლის პერიოდის განმავლობაში ადგილი აქვს შესწავლის ობიექტის სავარაუდო დემპინგურ იმპორტს განსახილველი სახელწმიფოდან. აღნიშნული იმპორტის რაოდენობრივი მაჩვენებლები და სავარაუდო დემპინგური ზღვარი აღემატება კანონით განსაზღვრულ მინიმალურ ზღვრებს და ამავდროულად prima facie დასტურდება დემპინგით გამოწვეული ადგილობრივი ინდუსტრიის ზიანი, რომელიც გამოიხატება როგორც რაოდენობრივ, ასევე, საფასო მაჩვენებლებში.

აღნიშნულიდან გამომდინარე სააგენტომ დაიწყო შესწავლა ვაჭრობაში ანტიდემპინგური ღონისძების შემოღების შესახებ, კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად.